დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგამოძიებო სამსახურის უფროსის
2024 წლის __ ოქტომბრის № __ ბრძანებით

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

## შესავალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებასა[1] და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტები.

სამსახური პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებითა და საფუძვლებით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) ვრცელდება სამსახურის საქმიანობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პოლიტიკა ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის და განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.is.ge).

პოლიტიკა უზრუნველყოფს სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების (შემდგომში - მონაცემ(ებ)ი) დამუშავების პროცესის გამჭვირვალობას. სამსახური, მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის მიზნით, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემთა დაცვის საუკეთესო სტანდარტებით, მათ შორის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაციით (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“.

პოლიტიკის განახლების შემთხვევაში, დოკუმენტის უახლესი ვერსია გამოქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.

---

[1] *„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №3*

სამსახური პატივს სცემს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს.

სამსახური ამუშავებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად და მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ყველა პრინციპის დაცვით.

მონაცემთა დამუშავების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სამსახურს განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც მონაცემთა სუბიექტებისთვის წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს.

## ტერმინთა განმარტება

**პერსონალური მონაცემი** – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

**განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

**მონაცემთა დამუშავება** – მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით;

**მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

**მონაცემთა სუბიექტის თანხმობა** – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება;

**მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა** – თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ;

**დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** – წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, სამსახური, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

**დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს სამსახურისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა სამსახურთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი;

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** – სამსახურის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

**მონაცემთა დეპერსონალიზაცია** – მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მათი დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს.

## 1. მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და საფუძვლები

სამსახურის მიერ მონაცემები მუშავდება დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხების, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენის და სამსახურის თანამშრომლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების, მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელების, მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული საიდუმლოებების დაცვისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა ლეგიტიმური მიზნების ეფექტიანი განხორციელების მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამსახურზე არ ვრცელდება მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა.

მონაცემთა დამუშავების პროცესების შესახებ, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებას უზრუნველყოფს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ზემოხსენებული მიზნების მიღწევას.

სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

- დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, გამოძიების სრული მოცულობით წარმოებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სათანადო ექსპერტიზის ორგანიზებასა და ჩატარებას;
- საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციასა და გამოვლენას;

- საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულისა და კორუფციულ გარიგებათა პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;
- ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების მოპოვებასა და გაანალიზებას მისი შემდგომი გამოყენების მიზნით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოებისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ამ ორგანოთა თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან დაცვას.

სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის, კანონით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულების, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვის, სტაჟირების ორგანიზების, სამსახურისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების დროული განხორციელების, სამსახურის ადმინისტრაციულ შენობებსა და ობიექტებზე ვიზიტორების დაშვების აღრიცხვის, სამსახურის ტერიტორიაზე ვიდეომონიტორინგისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განსახორციელებლად.

ამასთან, სამსახურმა კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, მონაცემები შესაძლებელია დაამუშაოს მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

სამსახურის მიერ დასამუშავებელი მონაცემების კატეგორია, დამუშავების მიზანი და საფუძველი განსხვავებულია განსახორციელებელი პროცესების შესაბამისად.

ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, სამსახური უფლებამოსილია საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით სრული მოცულობით აწარმოოს გამოძიება და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაამუშაოს ნებისმიერი, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი. ნებისმიერი კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებშიც, დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთის  მიზნებისთვის, თუ ეს აუცილებელ და პროპორციულ ზომას წარმოადგენს

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად და ამავე კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, სამსახურის მიერ მონაცემები მუშავდება იმ შემთხვევაშიც, თუ:

- მონაცემთა სუბიექტმა თანხმობა განაცხადა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა თავად გახადა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების,

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის;

- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სამსახურის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვნის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად.

სამსახური განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მონაცემთა სუბიექტმა წერილობითი თანხმობა განაცხადა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის (მათ შორის, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის და ამ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, პირის (კანდიდატის) დასაქმების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილების მისაღებად ან სამსახურში დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მისი მონაცემები;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესებისთვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის, თუ კანონი ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 2. მონაცემთა ბაზების მეშვეობით მონაცემების დამუშავება

სამსახური კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების, მათ შორის, ანალიტიკური კვლევების განხორციელების მიზნით, კანონის თანახმად, უფლებამოსილია მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და შექმნას ისეთი საინფორმაციო სისტემები, რომლებიც გამოიყენება საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, დანაშაულისა და კორუფციულ გარიგებათა პრევენციის, აღკვეთისა და გამოვლენისთვის, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად და შესაძლო ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენის მიზნით, რაც აუცილებელია სამსახურის ელექტრონული სისტემების მთლიანობის უზრუნველყოფისა და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის.

## 3. ვებგვერდის საშუალებით მონაცემების დამუშავება

სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.is.ge), პროაქტიულად ხორციელდება სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სიახლეების გამოქვეყნება.

წინამდებარე ვებგვერდის საშუალებით, სამსახური მონაცემთა სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინოს ელექტრონული განაცხადი სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით, რაზეც სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ ხორციელდება რეაგირება, რათა აღნიშნული საშუალება იყოს ეფექტიანი და მარტივად განხორციელდეს მონაცემთა სუბიექტთან კომუნიკაცია/უკუკავშირი. ელექტრონულ განცხადებაში სავალდებულოდ შესავსებია მხოლოდ ორი ველი („ელ. ფოსტა“, „ტექსტი“).

ამასთან, ვებგვერდზე ცხადდება სტაჟირების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც მონაცემთა სუბიექტის მიერ სამსახურისთვის წარსადგენი ინფორმაცია განსაზღვრულია „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სტაჟიორის უფლებამოსილებების, შერჩევის და სამსახურის გავლის პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 24 აგვისტოს №358 ბრძანებით.

## 4. მონაცემთა გადაცემა მესამე პირებისთვის

სამსახური მონაცემების დამუშავების პროცესში, მესამე პირებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებს გადასცემს მხოლოდ კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

## 5. მონაცემთა შენახვა

სამსახურისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, დამუშავებული მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურის საქმეთა ნომენკლატურით განსაზღვრული ვადებით, კერძოდ:

- სამსახურის უფროსის ბრძანებები პირად შემადგენლობაზე ინახება საჭიროების, არაუმეტეს - 75 წლის ვადით;
- თანამშრომელთა, ყოფილ თანამშრომელთა, მოქალაქეთა მიმართვები, განცხადებები - 5 წლის ვადით;
- მიმართვები, განცხადებები შრომით მოწყობაზე - საჭიროების გასვლამდე;
- თანამშრომელთა პრემიების დოკუმენტები - 6 წლის ვადით;
- თანამშრომელთა გათავისუფლების დოკუმენტები - 5 წლის ვადით;
- შრომითი ხელშეკრულებები - 75 წლის ვადით;
- იმ პირთა დოკუმენტები და ანკეტები, რომლებიც არ დაინიშნენ სამსახურში - 1 წლის ვადით;
- პირადი დოკუმენტების დედნები (დიპლომები, მოწმობები და ა.შ) - მოკითხვამდე;
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები - 75 წლის ვადით;
- სამსახურის საშტატო შემადგენლობის სია - 75 წლის ვადით;
- წარდგინებები, შუამდგომლობები - 75 წლის ვადით;
- განცხადებები, საჩივრები, პროტესტები საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებებზე - 5 წლის ვადით;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარების ორგანიზების ამსახველი დოკუმენტაცია - 5 წლის ვადით;
- ვიზიტორის საშვის გაცემის თაობაზე ინფორმაცია - 1 წლის ვადით;
- სამსახურში სტაჟიორთა შერჩევისა და სამსახურის გავლის ამსახველი დოკუმენტები - 5 წლის ვადით;
- ვიდეოკამერების ჩანაწერები - 1 თვის ვადით;
- სისხლის სამართლის საქმის მასალები - კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად: გაუხსნელი საქმე - მუდმივად; დასრულებული საქმე - იგზავნება სასამართლოში; შეწყვეტილი საქმე - 25 წლის ვადით; განცხადება/შეტყობინება, რომელზეც გამოძიება არ დაიწყო - 10 წლის ვადით.

## 6. მონაცემთა შენახვის ადგილი

სამსახური მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებს ინახავს უსაფრთხოდ. მონაცემები მატერიალური სახით ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის თანამშრომლებს. ელექტრონული ფორმით დაცულ ინფორმაციაზე წვდომა ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა მიერ.

## 7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს:

- მოითხოვოს დადასტურება იმის შესახებ, მუშავდება თუ არა მისი პერსონალური მონაცემები და მიიღოს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ, დამუშავების საფუძვლის, მიზნისა და შენახვის ვადის მითითებით;
- გაეცნოს მის შესახებ შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს ან მოითხოვოს მისი ასლები;
- მოითხოვოს მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;

- მოითხოვოს მის შესახებ სამსახურში არსებული პერსონალური მონაცემების დაბლოკვა სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;
- მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;
- მოითხოვოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გარანტირებული სხვა უფლებების რეალიზება.

თუ მონაცემთა სუბიექტი თვლის, რომ დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მისი უფლებები, მას აქვს შესაძლებლობა კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

მონაცემთა სუბიექტს გარანტირებული აქვს სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა, რომელსაც შეუძლია მიმართოს კონსულტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

## 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:
ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
ვ) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
ზ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
თ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას;
ი) ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში (გარდა ,,ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოწესრიგებისა) განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას.

მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისთვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, სამსახურის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

## 9. უსაფრთხოების ზომები

სამსახურს მიღებული აქვს სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რათა მონაცემთა სუბიექტების შესახებ ინფორმაცია დაიცვას არაავტორიზებული ან შემთხვევითი წვდომისგან, განადგურებისგან, მოდიფიკაციისგან, დაბლოკვისგან, ასლის შექმნისა და გავრცელებისგან, ასევე მესამე პირის სხვა უკანონო ქმედებებისგან.

სამსახური მკაცრად იცავს უსაფრთხოებას. პერსონალურ მონაცემებზე თანამშრომლებისთვის პერსონიფიცირებული წვდომის უფლების მინიჭება ხორციელდება მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ამასთან, თანამშრომლებს აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

მონაცემთა დამუშავების ფაქტების გამოკვლევისა და მათზე სათანადო მონიტორინგის განხორციელების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონულ სისტემებში აღირიცხება მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებები.

სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 იანვრის №2 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისათვის ზოგიერთი ქმედების აკრძალვის შესახებ“ საფუძველზე, სამსახურის მონაცემთა ბაზებზე არასანქცირებული წვდომა ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

სამსახური ვერ აიღებს პასუხისმგებლობას კიბერდამნაშავეებისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით განპირობებული პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვაზე.

სამსახურში მუდმივად ხორციელდება დასაქმებულ პირთა ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მუდმივად უწევს სამსახურს კონსულტაციას და ზრუნავს მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

## პოლიტიკის განახლება

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების ცვლილების შემთხვევაში, პოლიტიკა ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

**დაგვიკავშირდით**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

0177 თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2

ტელ: (+995 32) 226 20 23

ელ. ფოსტა: is@mof.ge

სამსახურის ტერიტორიული დანაყოფების საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.is.ge

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - **ნატალია კრავეიშვილი** (ტელ: (+995 32) 226 20 54; ელ. ფოსტა: N.Kraveishvili@mof.ge).